პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 171

20 19 წ. "09" 09

ქ.თბილისი

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ფარმაციის (სააფთიაქო)" საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ

დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, 33[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 34-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას (საიდენტიფიკაციო კოდი: 400023595) შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 დეკემბრის №185 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული „ფარმაციის (სააფთიაქო)" საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 144-ით.

საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/ საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ფარმაცია (სააფთიაქო) (1)	მეხუთე დონე / საფეხური	ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0916 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 090352	123	153	ქართული	144	ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. №2

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1369-ით.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის №14 სხდომის ოქმის მეთერთმეტე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე